ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---აპრილი 2025 წელი

ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, დავით გურამიშვილის გამზირთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, ახალდაბის ქუჩის მონაკვეთისთვის და ახალდაბის ჩიხისთვის დრამატურგისა და მსახიობის ავქსენტი ცაგარელის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ნაძალადევის რაიონში, დავით გურამიშვილის გამზირთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს დრამატურგისა და მსახიობის ავქსენტი ცაგარელის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ნაძალადევის რაიონში, ახალდაბის ქუჩის მონაკვეთს, ახალდაბის ჩიხს და მასთან არსებულ უსახელო მონაკვეთს მიენიჭოს ავქსენტი ცაგარელის I გასასვლელის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

3. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

X:482375 Y:4622790
ავქსენტი ცაგარელის ქ.
X:482383 Y:4622486

X:482329 Y:4622679
X:482243 Y:4622639
ავქსენტი ცაგარელის I გზა
X:482280 Y:4622620
X:482344 Y:4622584

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

31 / მაისი / 2024 წ.

KA011766894861324

№ **117623**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარეს ნინო ვარდოსანიძეს

ასლი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო
სამსახურის უფროსს ბატონ გიორგი აბუთიძეს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ სააგენტოს სამისამართო რეესტრში რეგისტრირებულია გეოგრაფიული ობიექტი შემდეგი სახელწოდებით: „ქალაქი თბილისი, ახალდაბის ქუჩა, შესახვევი, ჩიხი“ (სამისამართო რეესტრში რეგისტრაციის საფუძველი: ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქციის მიერ 2008 წელს გამოცემული ენციკლოპედია „თბილისი. ქუჩები, გამზირები, მოედნები“).

შეგახსენებთ, რომ უძრავი ნივთებისთვის ნუმერაციის მინიჭებისას სააგენტო ხელმძღვანელობს "საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონისა და და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის № 487 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციით დადგენილი წესებით, რომლის თანახმად ნუმერაცია იწყება დასახლების ცენტრიდან და თანმიმდევრობით გრძელდება გარეუბნების (პერიფერიების) მიმართულებით. დასახლების ცენტრიდან ქუჩის, ჩიხის, შესახვევის მარჯვენა მხარეს არსებულ ობიექტებს ენიჭებათ კენტი ციფრი, ხოლო მარცხენა მხარეს - ლუწი ციფრი.

საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლისას დადგენილ იქნა, რომ ახალდაბის ქუჩის მიმდებარედ არსებული უძრავი ნივთებისთვის, თავად ამ ქუჩის გეოგრაფიული მოხაზულობის, განფენილობის გათვალისწინებით, ნუმერაციის მინიჭება შეუძლებელია, ვინაიდან ახალდაბის ქუჩას არ აქვს ქუჩისთვის აუცილებელი ძირითადი მახასიათებელი - ერთი დასაწყისი და ერთი დასასრული წერტილი. ცენტრიდან პერიფერიის მიმართულებით ქუჩა იყოფა სხვადასხვა მიმართულების განტოტებებად და აქვს ერთგვარი ქსელური ხასიათი (იხ. დანართი №1).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ შუამდგომლობით შეაფასოთ შესაბამისი ტერიტორია, ქუჩის არსებული მოხაზულობა და იმსჯელოთ გეოგრაფიული ობიექტის დაყოფის (ცვლილების) შესაძლებლობაზე.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი.

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს ბ-ნ გიორგი ტყემალაძეს

განმცხადებლის სახელი და გვარი : გიორგი ცაგარელი

პირადი № : 01007001577

მისამართი : თბილისი, ხვიჩიას ქ. 31, ბინა 4

ტელეფონი : 599 203 585

განცხადება

ბ-ნო გიორგი! მოგეხსენებათ, რომ ცნობილი ქართველი დრამატურგი ავქსენტი ცაგარელი ერთ-ერთი პოპულარული პიესების „ხანუმა“ და „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“ ავტორია. „ხანუმას“ საფუძველზე ს. დოლიძის ცნობილი ოპერის „ქეთო და კოტე“ ლიბრეტო დაიწერა, გადაიღეს ორი ფილმი „ხანუმა“ და „ქეთო და კოტე“. ა. ცაგარლის პიესის მიხედვით გადაიღეს აგრეთვე ფილმი „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“. მისი პიესები, პატრიოტული ლექსები, ფელეტონები, მოთხრობები, სცენები იბეჭდებოდა „მოამბეში“, „ცნობის ფურცელში“, „დროებასა“ და „ივერიაში“. „ასიკო ცაგარელის სახელი მტკიცედ არის დაკავშირებული ქართული თეატრის ისტორიასთან. იგი ერთი იმათგანი იყო, რომელნიც განახლებულ ქართულ თეატრს 1878-1879 წლებში სათავეში ჩაუდგნენ და დიდ ეროვნულ საქმეს მხარი მისცეს.“ წერს თავის წიგნში ს. ხუციშვილი.

გთხოვთ თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის მისი სახელის მინიჭების შესახებ საკითხი განიხილოთ.

ა. ცაგარლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ რამდენიმე წყარო: იოსებ გრიშაშვილის წერილი, რომელიც მან ა. ცაგარლის თხზულებათა გამოცემას დაურთო. ს. ხუციშვილის წიგნი „ავქსენტი ცაგარელი“. ლექსიკონი-ცნობარი „ქართული მწერლობა“. ქართული ენციკლოპედია.

14.02.2025

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032430517**
თარიღი: **31/10/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას 2024 წლის 03 ივნისის საქმე #06-03241555-03 დაკავშირებით.
მოგმართავთ თხოვნით, გამოგვიგზავნოთ ახალდაბის ქუჩისა და მის მიმდებარედ არსებული უსახელო ქუჩის სიტუაციური ნახაზები დანართის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 6 (ექვსი) გვერდი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-0124320119**
თარიღი: **15/11/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე

ბ-ნ ლევან აბაშიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ: +995(32)2 15 92 92

ბატონო ლევან,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 31.10.2024 წლის #03-032430517 (31.10.2024 წ. #14-01243051995-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. 3 დანართი)

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ავქსენტი ცაგარელი

(1857-1902)

ქართველი დრამატურგი და მსახიობი. 1879 წლიდან იყო თბილისში შექმნილი მუდმივი ქართული დასის აქტიური წევრი და დრამატურგი.

ავქსენტი ცაგარელი კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლად ითვლება. მისი ყურადღების ცენტრშია კაპიტალიზმით გამოწვეული საზოგადოებრივი ურთიერთობანი; უსახსროდ დარჩენილი თავადაზნაურობა, რომელიც ვერ თმობს ძველ პრივილეგიებს და უფლებებს. დრამატურგის პირველი პიესა — კომედია „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ (1878) იყო მძაფრი სოციალური პროტესტი თავგასული თავადაზნაურების წინააღმდეგ. პიესა საფუძვლად დაედო ამავე სახელწოდების ფილმს (1965, რეჟ. მიხეილ ჭიაურელი). კომედიაში „ხანუმა“ (1882) ნაჩვენებია ფეოდალური კლასის გაღატაკება და ზნეობრივი დაკნინება. „ხანუმა“ გახდა ორი ფილმისა („ქეთო და კოტე“) და ერთი ოპერის („ქეთო და კოტე“) საფუძველი. აქვსენტი ცაგარელს ეკუთვნის დრამები, ლექსები, პუბლიცისტური წერილები და სხვ. ა. ცაგარელის დრამატულმა ნაწარმოებებმა დიდი აღიარება მოიპოვა, რაც განაპირობა მისი პიესების ცოცხალმა სასაუბრო ენამ, დახვეწილმა დიალოგებმა, ოსტატურად დახატულმა ტიპაჟმა.